

# საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის

## ბრძანება №10

2015 წლის 23 დეკემბერი

ქ. თბილისი

### სადაზღვევო ბროკერის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის „ს“ ქვეპუნქტისა და 2013 წლის 02 მაისის საქართველოს მთავრობის დადგენილება №102-ის თანახმად დამტკიცებული სსიპ – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე,  
**ვბრძანებ:**

#### მუხლი 1

1. დამტკიცდეს „სადაზღვევო ბროკერის ანგარიშგების წესი“ თანდართულ დანართთან ერთად.
2. ამ ბრძანების ამოქმედებამდე რეგისტრირებული სადაზღვევო ბროკერების მიერ „სადაზღვევო ბროკერის ანგარიშგების წესით“ დამტკიცებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულ იქნეს 2016 წლის 01 იანვრიდან.

#### მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სსიპ – საქართველოს დაზღვევის  
სახელმწიფო ზედამხედველობის  
სამსახურის უფროსი

იოსებ გოგოლაშვილი

### სადაზღვევო ბროკერის ანგარიშგების წესი

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი განსაზღვრავს სადაზღვევო ბროკერების მიერ სსიპ – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურში (შემდგომში – სამსახური) წარსადგენი ანგარიშგების ფორმების მომზადებისა და წარდგენის წესს, ასევე მათი წარდგენის ვადებს.

2. ეს წესი განკუთვნილია საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი, სამსახურის მიერ რეგისტრირებული ყველა სადაზღვევო ბროკერისთვის.

#### მუხლი 2. ანგარიშგების მომზადება

1. სადაზღვევო ბროკერი ვალდებულია მოამზადოს ანგარიშში გაწეული საქმიანობის შესახებ, ამ წესისა და დანართების (დანართი №1, დანართი №2) მიხედვით.

2. სადაზღვევო ბროკერის ანგარიშგება ზუსტად და რეალურად უნდა ასახავდეს მისი საქმიანობის შედეგებს.

3. ანგარიშგებაში თანხები აღრიცხული უნდა იქნეს ერთეულ ლარებში. უცხოურ ვალუტაში აღრიცხული თანხები წარმოდგენილი უნდა იქნეს ეროვნულ ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში ასახული თანხა ექვემდებარება გადათვლას ეროვნულ ვალუტაში, სადაზღვევო ხელშეკრულების/პოლისის ძალაში შესვლის თარიღისათვის არსებული ვალუტის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

#### მუხლი 3. ანგარიშგების ფორმები

1. სადაზღვევო ბროკერის ანგარიშგება შედგება ორი დანართის მიხედვით შედგენილი ხუთი ფორმისგან:

ა) ზოგადი ინფორმაცია სადაზღვევო ბროკერის შესახებ (დანართი №1), რომელიც წარმოდგენილია ფორმა



№1-ის სახით;

ბ) ინფორმაცია სადაზღვევო ბროკერის მიერ დაზღვევის სფეროში გაწეული საშუაშალო საქმიანობის შესახებ (დანართი №2), რომელიც წარმოდგენილია ფორმა №1.1, ფორმა №1.2, ფორმა №2.1 და ფორმა №2.2-ს სახით.

2. სადაზღვევო ბროკერმა ანგარიშგების მომზადებისას უნდა იხელმძღვანელოს ანგარიშგების შევსების ინსტრუქციით (დანართი № 3).

#### **მუხლი 4. ანგარიშგების წარდგენის ვადები**

1. სადაზღვევო ბროკერი ამ წესით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის ანგარიშგებას და წარადგენს მას სამსახურში ყოველი კალენდარული წლის შემდეგი თარიღებისათვის:

ა) 6 თვის ანგარიშგებას - არაუგვიანეს მიმდინარე წლის 30 ივლისისა;

ბ) 12 თვის (წლიური) ანგარიშგებას – არაუგვიანეს მომდევნო წლის 28 თებერვლისა.

#### **მუხლი 5. ანგარიშგების წარდგენის პროცედურა**

1. სადაზღვევო ბროკერი ამ წესის მე-4 მუხლში მითითებულ ვადებში სამსახურში ელექტრონული ფორმით წარადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ციფრული ხელმოწერით დამოწმებულ ანგარიშგებას. ანგარიშგებები ციფრულად ხელმოწერილი უნდა იქნეს დირექტორის ან ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მიერ.

2. სამსახურში წარსადგენი ანგარიშგების მომზადება ხორციელდება MSExcel-ის ფორმატში, სამსახურის მიერ მოწოდებული ელექტრონული ფორმის დაცვით, ხოლო მისი წარდგენა – სამსახურის სპეციალურ ელექტრონულ მისამართზე: [Brokersreport@insurance.gov.ge](mailto:Brokersreport@insurance.gov.ge) ამ წესის მე-4 მუხლში მითითებული ვადების დაცვით.

3. ანგარიშგებას სადაზღვევო ბროკერი წარადგენს სრულად, ფორმაში ასახული ყველა მაჩვენებლის და ფორმის წყობის დაცვით, მიუხედავად იმისა, ექვემდებარება თუ არა ფორმა შევსებას.



ზოგადი ინფორმაცია ბროკერების შესახებ

დანართი №1

ფორმა №1

	ბროკერის სრული დასახელება	
2	საიდენტიფიკაციო ნომერი	
3	საანგარიშო პერიოდი	
4	ორგანიზაციის ხელმძღვანელი	
5	ორგანიზაციის მისამართი	
6	ორგანიზაციის ტელეფონი	
7	ორგანიზაციის ფაქსი	
8	ორგანიზაციის ელექტრონული ფოსტის მისამართი	-
9	ორგანიზაციის ვებგვერდი	
10	ორგანიზაციის ფილიალების რაოდენობა	
11	ორგანიზაციის თანამშრომელთა რაოდენობა	
12	ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი	
13	ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირის ტელეფონის ნომერი	
14	ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირის ელექტრონული ფოსტა	-

ინფორმაცია ბროკერის მიერ დაზღვევის სფეროში გაწეული საშუაშაველო საქმიანობის შესახებ  
 ფორმა №1.1. ინფორმაცია სადაზღვევეო ბროკერის მონაწილეობით დადებული დაზღვევის ხელშეკრულების რაოდენობის, მოზიდული პრემიის და მიღებული საკომისიოს შესახებ  
 კომპანიის დასახელება: \_\_\_\_\_  
 საანგარიშო პერიოდი: \_\_\_\_\_

სახეობის კოდი	დაზღვევის სახეობა	საანგარიშო პერიოდში ბროკერის მონაწილეობით დადებული ხელშეკრულებების რაოდენობა			მოქმედი ხელშეკრულებების რაოდენობა			სადაზღვევეო პრემიები ხელშეკრულებიდან გამომდინარე			საკომისიოს ოდენობა ხელშეკრულების მიხედვით			
		დამზღვევეი		სულ	დამზღვევეი		სულ	დამზღვევეი		სულ	დამზღვევეი		სადაზღვევეო ორგანიზაცია	სულ
		ფიზიკური პირი	იურიდიული პირი		ფიზიკური პირი	იურიდიული პირი		ფიზიკური პირი	იურიდიული პირი		ფიზიკური პირი	იურიდიული პირი		
01	სიცოცხლის დაზღვევა:	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
	სიცოცხლის ვადიანი დაზღვევა			-			-			-				-
	სიცოცხლის უვადო დაზღვევა			-			-			-				-
	სიცოცხლის დაზღვევის მაგროვებადი და დაბრუნებადი სახეობები			-			-			-				-
	სიცოცხლის დაზღვევის სხვა ფორმები			-			-			-				-

02	სამოგზაურო დაზღვევა			-			-			-				-
03	უბედური შემთხვევის დაზღვევა:	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
	დაზღვევა უბედური შემთხვევებისაგან			-			-			-				-
	მგზავრების, მძღოლის ან ეკიპაჟის დაზღვევა უბედური შემთხვევებისაგან			-			-			-				-
04	სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევა			-			-			-				-
05	სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა (გარდა სარკინიგზო ტრანსპორტისა):	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
	სახმელეთო ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა (ავტოკასკო):			-			-			-				-
	სხვა სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა			-			-			-				-
06	სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა:	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
	ავტომობილტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა			-			-			-				-
	სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა			-			-			-				-
	სახმელეთო გადამზიდველის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა			-			-			-				-

07	სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა			-			-				-				-
08	საჰაერო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა (კორპუსის დაზღვევა)			-			-				-				-
09	საჰაერო სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის დაზღვევა:	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
	საჰაერო გადამზიდველის პასუხისმგებლობის დაზღვევა			-			-				-				-
	სხვა პასუხისმგებლობის დაზღვევა, რომელიც დაკავშირებულია საჰაერო ტრანსპორტის გამოყენებასთან			-			-				-				-
10	მცურავი სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა (კორპუსის დაზღვევა)			-			-				-				-
11	მცურავ სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის დაზღვევა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
	საზღვაო გადამზიდველის პასუხისმგებლობის დაზღვევა			-			-				-				-
	სხვა პასუხისმგებლობის დაზღვევა, რომელიც დაკავშირებულია მცურავი ტრანსპორტის გამოყენებასთან			-			-				-				-
12	ტვირთების დაზღვევა			-			-				-				-
13	ქონების დაზღვევა (გარდა პპ. (5), (7), (8), (10), და (12)-ში ჩამოთვლილი ქონებისა):			-			-				-				-
14	დაზღვევა საფინანსო			-			-				-				-



ინფორმაცია სადაზღვევო ბროკერის მონაწილეობით დადებული დაზღვევის ხელშეკრულების რაოდენობის, მოზიდული პრემიის და მიღებული საკომისიოს შესახებ სადაზღვევო ორგანიზაციის მიხედვით

კომპანიის დასახელება: \_\_\_\_\_

საანგარიშო პერიოდი: \_\_\_\_\_

სადაზღვევო ორგანიზაცია: \_\_\_\_\_

სახეობის კოდი	დაზღვევის სახეობა	საანგარიშო პერიოდში ბროკერის მონაწილეობით დადებული ხელშეკრულებების რაოდენობა			მოქმედი ხელშეკრულებების რაოდენობა			სადაზღვევო პრემიები ხელშეკრულებიდან გამომდინარე			საკომისიოს ოდენობა ხელშეკრულების მიხედვით			
		დამზღვევი		სულ	დამზღვევი		სულ	დამზღვევი		სულ	დამზღვევი		სადაზღვევო ორგანიზაცია	სულ
		ფიზიკური პირი	იურიდიული პირი		ფიზიკური პირი	იურიდიული პირი		ფიზიკური პირი	იურიდიული პირი		ფიზიკური პირი	იურიდიული პირი		
01	სიცოცხლის დაზღვევა:	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
	სიცოცხლის ვადიანი დაზღვევა			-			-			-				-
	სიცოცხლის უვაღო დაზღვევა			-			-			-				-
	სიცოცხლის დაზღვევის მაგროვებადი და დაბრუნებადი სახეობები			-			-			-				-
	სიცოცხლის დაზღვევის სხვა ფორმები			-			-			-				-



02	სამოგზაურო დაზღვევა			-			-			-				-
03	უბედური შემთხვევის დაზღვევა:	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
	დაზღვევა უბედური შემთხვევებისაგან			-			-			-				-
	მგზავრების, მძღოლის ან ეკიპაჟის დაზღვევა უბედური შემთხვევებისაგან			-			-			-				-
04	სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევა			-			-			-				-
05	სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა (გარდა სარკინიგზო ტრანსპორტისა):	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
	სახმელეთო ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა (ავტოკასკო):			-			-			-				-
	სხვა სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა			-			-			-				-
06	სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა:	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
	ავტომობილტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა			-			-			-				-
	სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა			-			-			-				-

	სახმელეთო გადამზიდველის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა			-			-			-				-
07	სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა			-			-			-				-
08	საჰაერო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა (კორპუსის დაზღვევა)			-			-			-				-
09	საჰაერო სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის დაზღვევა:	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
	საჰაერო გადამზიდველის პასუხისმგებლობის დაზღვევა			-			-			-				-
	სხვა პასუხისმგებლობის დაზღვევა, რომელიც დაკავშირებულია საჰაერო ტრანსპორტის გამოყენებასთან			-			-			-				-
10	მცურავი სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა (კორპუსის დაზღვევა)			-			-			-				-
11	მცურავ სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის დაზღვევა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
	საზღვაო გადამზიდველის პასუხისმგებლობის დაზღვევა			-			-			-				-
	სხვა პასუხისმგებლობის დაზღვევა, რომელიც დაკავშირებულია მცურავი ტრანსპორტის გამოყენებასთან			-			-			-				-
12	ტვირთების დაზღვევა			-			-			-				-

























## სადაზღვევო ბროკერის ანგარიშგების შევსების ინსტრუქცია

1. ეს ინსტრუქცია წარმოადგენს ამ წესის განუყოფელ ნაწილს და მოიცავს ამ წესის და დანართი №2-ით გათვალისწინებული ანგარიშგების ფორმების ზოგიერთი პარამეტრების განმარტებასა და მათი შევსების პრინციპს.
2. ანგარიშგების ფორმები ივსება სადაზღვევო ბროკერის მიერ ფორმებში მითითებული დაზღვევის სახეობების მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო ბროკერის შუამავლობით დადებულია რამდენიმე სახეობის შემცველი დაზღვევის ხელშეკრულება, ანგარიშგების ფორმაში მონაცემები უნდა დაიყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცელკეული სახეობის მიხედვით. ასეთი სახის დაყოფისას დაზღვევის ხელშეკრულებაში შესული თითოეული სახეობა მოიაზრება, როგორც ცალკე დადებული ხელშეკრულება. იმ შემთხვევაში, თუ ერთი სადაზღვევო ხელშეკრულებით დაზღვეულია დაზღვევის რამდენიმე ობიექტი, ხელშეკრულების რაოდენობაში მოიაზრება ერთი ხელშეკრულება.
3. სადაზღვევო/გადაზღვევის პრემია – პრემია, რომელიც მიეკუთვნება საანგარიშო პერიოდში ბროკერის შუამავლობით დადებულ ძალაში შესულ დაზღვევის/გადაზღვევის ხელშეკრულებებს/პოლისებს (მრავალწლიანი ხელშეკრულებების /პოლისების ჩათვლით), მიუხედავად იმისა, გადახდილი არის პრემია თუ არა. ხელშეკრულების/პოლისის ვადაზე ადრე გაუქმების შემთხვევაში სადაზღვევო/გადაზღვევის პრემია აღირიცხება ხელშეკრულების/პოლისის გაუქმების პირობების შესაბამისად. ამასთან, ეს პარამეტრი არ იცვლება (არ მცირდება) წინა საანგარიშო წლებში დადებული ხელშეკრულებების /პოლისების საანგარიშო პერიოდში გაუქმების ასახვის მიზნით.
4. საკომისიოს ოდენობა – საანგარიშო პერიოდში ბროკერის შუამავლობით დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე საკომისიო, მიუხედავად იმისა, გადახდილი არის საკომისიო თუ არა. ხელშეკრულების/პოლისის ვადაზე ადრე გაუქმების შემთხვევაში საკომისიო აღირიცხება ხელშეკრულების/პოლისის გაუქმების პირობების შესაბამისად. ამასთან, ეს პარამეტრი არ იცვლება (არ მცირდება) წინა საანგარიშო წლებში დადებული ხელშეკრულებების/პოლისების საანგარიშო პერიოდში გაუქმების ასახვის მიზნით.
5. ანგარიშგების თარიღისათვის მოქმედი (ძალაში მყოფი) სადაზღვევო/გადაზღვევის ხელშეკრულებების რაოდენობა – ანგარიშგების თარიღისათვის მოქმედი (ძალაში მყოფი) ყველა სადაზღვევო /გადაზღვევის ხელშეკრულება წინა საანგარიშო წლებში დადებული ხელშეკრულებების ჩათვლით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პერიოდის დასრულების თარიღი ემთხვევა საანგარიშო თარიღს, ანგარიშგების მიზნებისათვის ასეთი ხელშეკრულება ითვლება მოქმედად.